

ცხოველთა კეთილდღეობა

ცხოველთა კეთილდღეობის ქვეშ მოიაზრება ადამიანის მზრუნველობის ქვეშ მყოფი ცხოველები, რომლებიც არ განიცდიან ზედმეტ ტანჯვას, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მათი გამოყენებით საკვების წარმოების მიზნით, სამუშაო ძალად ან კვლევის მასალად. ეს მოსაზრება ხშირად ყურადღებას ამახვილებს ადამიანური ქმედების ეთიკაზე (ან უმოქმედობაზე), როგორც ცხოველთა სტატუსთან დაკავშირებული ღრმა პოლიტიკური და ფილოსოფიური მოთხოვნების შექმნის წინააღმდეგობას, რომელსაც ადგილი აქვს ცხოველთა უფლებების თვალსაზრისით. სწორედ ამ მიზეზით, ცხოველთა კეთილდღეობის ორგანიზაციები თავიანთ დასახელებებსა და პოზიციების ფორმულირებისას იყენებენ სიტყვას ჰუმანური (ადამიანური).

შინაარსი

- 1. ცხოველთა კეთილდღეობის ისტორია
 - 1.1 კეთილდღეობა პრაქტიკაში
 - 1.2 ცხოველთა კეთილდღეობა საგემოვნო თვალსაზრისით
 - 1.3 კეთილდღეობის პრინციპები
 - 1.4 ხუთი თავისუფლება
- 2. ცხოველთა კეთილდღეობის შედარება ცხოველთა უფლებებთან
- 3. ცხოველთა კეთილდღეობის კრიტიკა

კეთილდღეობა პრაქტიკაში

1822 წლიდან, როდესაც ბრიტანეთის პარლამენტის წევრმა რიჩარდ მარტინმა პარლამენტში გაიტანა კანონპროექტი მსხვილფეხა პირუტყვის, ცხენებისა და ცხვრების დაცვის შესახებ (რომელმაც შემდგომ დაიმკვიდრა ჰუმანური დიკის ზედმეტსახელი), კეთილდღეობას ჰქონდა ეთიკური მიდგომა და ჰუმანური ქცევა, როგორც ძირითადი ინტერესი. მარტინი იყო მსოფლიოში პირველი ცხოველთა კეთილდღეობის ორგანიზაციის დამფუძნებელთა სიაში, ცხოველებისადმი მკაცრი მოპყრობის ამკრძალავი გაერთიანება (Society for the Prevention of Cruelty to Animals or SPCA), რომელიც დაარსდა 1824 წელს. 1840 წელს დედოფალმა ვიქტორიამ აკურთხა გაერთიანება და მას შემდეგ მოსხსენიებენ როგორც RSPCA. გაერთიანება მომუშავეთა დასაქირავებლად იყენებდა წევრების შემოწირულობებს, რათ შეექმნა ინსპექტორების ქსელი, რომელთა ვალდებულება იყო ჩაეტარებინა ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მომხმარებელთა იდენტიფიკაცია, შეეგრივებინა ინფორმაცია მომხდარ ფაქტებზე და წარედგინა იგი ხელისუფლებისთვის. ამ ჯგუფებმა მუშაობა დაიწვეს ფროპაში და შემდეგ ჩრდილოეთ ამერიკაში. პირველი ასეთი ლიცენზირებული ჯგუფი ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიქმნა 1866 წელს, კერძოდ ნიუ იორკის შტატში, სახელწოდებით ცხოველებისადმი მკაცრი მოპყრობის ამკრძალავი ამერიკული გაერთიანება.

ცხოველთა კეთილდღეობა საგემოვნო თვალსაზრისით

არსებობს შეხედულებების მზარდი დინამიკა თანამედროვე მთავარ პოვრებს შორის რომლებიც თვლიან რომ ხორცი მიღებული უნდა იყოს თავისუფალი პირობებში გამოზრდილი რესურსიდან, სადაც ცხოველებს მოპყრობის

უკეთესი პირობები აქვთ შექმნილი. ასეთ გარემოებაში ცხოველები ნაკლებად განიცდიან წუხილს (თუმცა ეს ფაქტორია), თუმცა ფაქტია რომ კარგად მოვლილი ცხოველის ხორცი უფრო გემრიელია. მაღალ ხარისხიანი ხორცის წარმოების საკვანძო საკითხების ცოდნით კულინარიაში განთქმულნი არიან ფერგუს ჰენდერსენი, რომელიც დამცველია “ცხვირიდან კუდამდე ცხობის” ტექნოლოგიისა და რაიმონდ ბლანი და ჰიუ ფერნლი-ვაიტინგსტალი, რომლებიც სახელგანთქმულნი არიან საკუთარი ცხოველებით, რომლებისაც თვითონვე ზრდიან და კლავენ. დასავლეთის თანამედროვე მომხრეებლებს უკვე საშუალება აქვთ, რომ მაღალ ხარისხიანი ხორცის წარმოებაში აირჩიონ თავიანთთვის სასურველი ხორცი (განსაკუთრებით, ღორის ხორცი, სადაც მაქსიმალურად გაიზრდება მაღალ ხარისხიანი ხორცის წარმოება, შედარებით იმ იაფფასიან ხორცისგან, რომელიც დამზადებულია პატარა კერძო ფერმებში გამოზრდილი ღორებისაგან) ასევე ფრინველის ხორცი, რომელიც რამოდენიმე დოლარი ღირს კილოგრამი და თავისუფალ პირობებში გაზრდილი საქონლი ხორცი, რომლის ფასიც თითქმის სამჯერ ან მეტად უფრო ძვირია.

კრიტიკები ამბობენ, რომ ზოგიერთი არგუმენტით მაღალ ხარისხიანი ხორცი იწარმოება სიმდიდრის თვალსაზრისით, თუმცა სხვა არგუმენტები ამტკიცებს, რომ პრივილეგებული ხალხი თავს უფლებას ვერ აძლევს მაღალიხარისხიანი საკვების შესაძენად. პირიქით ითვლება, რომ იაფფასიანი პროტეინი არანატურალურია და თანამედროვე დიეტები შედგება დიდი რაოდენობით ხორცისაგან. წინა პერიოდთან შედარებით, საკვების დანახარჯი წარმოადგენს საშუალო ოჯახური მეურნეობების დანახარჯების შედარებით ნაკლებ დანახარჯს. უფრო მეტიც, არსებობს მოსაზრება რომ, კარგად მოვლილი ცხოველის ნაკლებად ხარისხიანი ხორცის დიდი რაოდენობით გამოყენებამ, რომელიც ამავდროულად გემრიელად ითვლება, შესაძლებელია გაასწოროს კიდევაც გაზრდილ ფასებს.

კეთილდღეობის პრინციპები

დიდი ბრიტანეთის მთავრობამ, 1965 წელს, პროფესორ როჯერ ბრამბელთან ერთად დაიწყო ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კეთილდღეობის კვლევა, პასუხად 1964 წელს, რუტ ჰარისონის მიერ დაწერილი წიგნისა ცხოველთა მექანიზმები. პროფესორ ბრამბელის მოხსენების საფუძველზე დოლო ბრიტანეთის მთავრობამ 1967 წელს შექმნა სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კეთილდღეობის სამეთვალყურეო კომიტეტი, რომელიც 1979 წელს გადაკეთდა სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა საბჭოდ. კომიტეტის პირველი მმართველი რეკომენდაცია იყო ცხოველების თავისუფლების მოთხოვნა “გაუმჯობესება, თვითმოვლა, ადგომა, დაწოლა და ორგანოების დაძაბვა”. შემდგომში მოხდა ამ მოთხოვნების დამუშავება და ცნობილი გახდა, როგორც ცხოველთა კეთილდღეობის ხუთი თავისუფლების მცნება:

ხუთი თავისუფლება

1. განთავისუფლება წყურვილისგან, შიმშილისგან და არადანაყრებისგან
2. განთავისუფლება არაკომფორტული გარემოსგან
3. განთავისუფლება ტკივილისგან, ტრანვისგან და დაავადებისგან
4. ჯიშთა ნორმალური ქცევის გამოხატვის თავისუფლება

5. განთავისუფლება შიშისაგან და დარდისაგან

ცხოველთა კეთილდღეობის შედარება ცხოველთა უფლებებთან

ცხოველთა კეთილდღეობის ბევრი მიმდევარი ამტკიცებს, რომ შეხედულებები ცხოველთა უფლებებზე ძალიან შორს მიდის და არ იცავს ყველა ცხოველის გამოყენებისა ან ურთიერთობის ლიკვიდაციას. ისინი შესაძლოა ფიქრობენ, რომ ადამიანებს გააჩნიათ მორალური პასუხისმგებლობა იმისა, რომ არ მოეპყრონ ცხოველებს უხეშად (არ მიაყენონ არასასურველი ტანჯვა). ცხოველთა უფლებების დამცველი ადვოკატები, როგორცაა გარი ელ ფრანსიონი და ტომ რეგანი ამტკიცებენ, რომ ცხოველთა კეთილდღეობის პოზიცია (ცხოველთა პირობების გაუმჯობესების დამცველი, ცხოველთა გამოყენების გარეშე: იხილეთ: ვეჯანიზმი) ლოგიკურად არათავსებადია და ეთიკურად დაუსაბუთებელი. თუმცა არსებობს ცხოველთა უფლებების დამცველი ჯგუფები, როგორცაა PETA, რომლებიც მხარს უჭერენ ცხოველთა კეთილდღეობისთვის საჭირო ღონისძიებებს, რათა ააცილონ ცხოველებს ტანჯვა სანამ მათი გამოყენებ ბოლომდე არ დასრულდება.

კანადელი ეთიკოსი დევიდ სტიბელი ერთმანეთისგან განასხვავებს ექვს შეხედულებას ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ:

- **ცხოველთა ექსპლუატატორთა ცხოველთა კეთილდღეობა:** მტკიცებულება მათზე ვინც ცხოველებს იყენებს და კარგადაც ეპყრობაც მათ
- **ჯანსაღი ცხოველთა კეთილდღეობა:** ადამიანის ნორმალური ინტერესი იმისა, რომ მოერიდოს უხეშობასა და კეთილად მოექცეს ცხოველებს
- **ჰუმანური ცხოველთა კეთილდღეობა:** უფრო პრინციპული ოპოზიცია ცხოველთა უხეშ მოპყრობასთან დაკავშირებით, რომელიც უარყოფს ცხოველთა მოხმარების ბევრ მეთოდს (გარდა ცხოველთა გამოყენებისა სპორტული თვალსაზრისით და ბეწვის წარმოების მიზნით)
- **ცხოველთა ლიბერაციონისტების ცხოველთა კეთილდღეობა:** შეხედულება რომელიც მიიწრაფვის ტანჯვის შემსუბუქებისკენ მაგრამ ამავედროულად ეთანხმება ცხოველების გამოყენებას, თუ მას უდიდესი შედეგი მოაქვს, მაგალითად, ცხოველების გამოყენება სამედიცინო კვლევების ჩატარების მიზნით
- **ახალი კეთილდღეობიზმი:** გერი ფრანსიონის პირობები, რომელიც მიმართულია ადამიანების რწმენისკენ, რომელიც ითვალისწინებს გარკვეულ ცხოველთა გამოყენების განვითარებას რაც შემდგომში გამოიწვევს ცხოველთა გამოყენების საბოლოო აკრძალვას.
- **შეხედულებები ცხოველთა კეთილდღეობაზე/ცხოველთა უფლებებზე,** რომელიც განასხვავებს შემდეგს ორს:

არსებობს სხვა შეხედულებები ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ, რომელიც არ შედის დევიდ სტიბელის ნუსხაში.

ცხოველთა კეთილდღეობის პრინციპებს ბევრი ერის მიერ დადებით კანონად არის შეფასებული.

ცხოველთა კეთილდღეობის კრიტიკა

ერთ დროს ხალხთა უმრავლესობა მიიჩნევდა რომ ცხოველებს არ გააჩნიათ გრძნობები და ამიტომაც არ შეიძლებოდა რომ მათ რაიმე ინტერესი ჰქონოდათ. ბევრი კარდუზიანისტი (დეკარტის ფილოსოფიის მიმდევრები) იზიარებდა ამ აზრს, თუმცა კოტინგჰემი (1978) ამტკიცებდა, რომ დეკარტს თავად არ ჰქონდა მსაფისი შეხედულება. ასეთი შეხედულება შესაძლებელი ჰქონოდათ ბიჰევიორისტებს, მაგრამ ეს იყო ლოგიკური პრობლემა, რომელიც მომდინარეობდა შემდეგიდან: “არ არსებობს არანაირი სამეცნიერო მტკიცებულება რომ ვირთხები განიცდიან რაიმე ტანჯვას ჩემს ლაბორატორიაში” ან “ვირთხები ჩემს ლაბორატორიაში არ იტანჯებიან”, კერძოდ როგორც ბიჰევიორისტების იდეა, რომელიც სამეცნიერო მტკიცებულება შეუძლებელს ხდის ტანჯვასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას.

გარკვეული ადამიანები ამტკიცებენ, რომ ცხოველთა კეთილდღეობა დიდ მნიშვნელობას იძენდა, ჯერ კიდევ მაშინ როდესაც ადამიანის უფლებებისა და კეთილდღეობის საკითხი არ არსებობს. ისინი მოიხსენიებენ აფრიკასა და მსოფლიოს სხვა მრავალ ქვეყანას რომელებიც სიღარიბისა და სხვა მრავალი პრობლემის წინაშე დგას. ეს კრიტიკოსები საყვედურობენ ხოლმე ცხოველთა კეთილდღეობის აქტივისტებს და ფიქრობენ რომ გაცილებით მნიშვნელოვანია ადამიანთა პირობების გაუმჯობესება, რომელთა დიდი ნაწილი ცხოვრების უარეს პირობებში იმყოფება ვიდრე ცხოველები, ამიტომაც ეს საკითხები უნდა იყოს განხილული სანამ ცხოველთა უფლებების საკითხს მოვეკიდებით. პრობლემა მდომარეობს იმაში, რომ ადამიანთა და არაადამიანთა ინტერესები ურთიერთ გამომრიცხავია, რომელიც ყოველთვის არა არის მტკიცებულება. სწორედ ასევე ანალოგიურ კრიტიკები მოსაზრებას რომ ადამიანთა ტანჯვა უფრო პრიორიტეტულია ვიდრე არაადამიანთა, თუმცა ამას არ იზიარებენ ცხოველთა კეთილდღეობის მიმდევრები.

შედარებით თანამედროვე კრიტიკოსები იყენებენ ვიტევენშტაინის მიერ ინსპირირებულ არგუმენტს რომელიც ამტკიცებს რომ ტანჯვისა და სიხარულის ზოგიერთი ფორმების გამოხატვა შესაძლებელია მხოლოდ მეტყველების უნარის მქონეთათვის. ისინი ამტკიცებენ, რომ ამისთვის საკმარისი ლინგვისტური შესაძლებლობები გააჩნიათ მხოლოდ ადამიანებს და შესაძლებელია შიმპანზეებსაც.

სხვა კრიტიკოსები ცხოველთა კეთილდღეობის მიმდევრებს განიხილავენ პრაქტიკულად და ამტკიცებენ რომ კეთილდღეობის მიმდევრები წარმოაჩენენ ცხოველთა ზოგიერთი ჯიშის არაპროპორციულ შეფარდებას სხვა ჯიშების მიმართ, ყოველგვარი რაციონალური/სამეცნიერო მტკიცებულების გარეშე. მაგალითად, ზოგიერთი კრიტიკოსები ამბობენ, რომ თანმხლები ცხოველების მიმართ მხარდაჭერა აღემატება კომერციულ ცხოველებისადმი მხარდაჭერას, გარეულსა აღემატება შინაურ ცხოველებსას, ან ძუძუმწოვრების ფრინველების რეპრილიებს/თევზებს. მაგალითად, კეთილდღეობის მიმდინარეობა შხირ შემთხვევაში ეწინააღმდეგება ვეტერინარის მიერ შინაური კატების კლანჭების დაჭრას გაუმტკივარებით (ანესთეზიით), თუმცა იშვიათად ეწინააღმდეგება მეფრინველეობაში მომუშავე პირების მიერ გასაყიდი (კომერციული) ფრინველის კლანჭების დაჭრას ანესთეზიის გარეშე. კრიტიკა მდგომარეობს შემდეგში, რომ ცხოველთა კეთილდღეობა პრაქტიკაში ისეთივე ზარალის მომტანია, როგორც ანთროფოცენტრიზმი ანტიველფვარისტების შეხედულებით.